



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების  
სამინისტრო

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

2015 წლის ანგარიში



## სარჩევი

საქმიანობის სფერო

მეზღვაურთა განათლება და სერტიფიცირება

საზღვაო უსაფრთხოება

საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრი (სსსც)

საერთაშორისო ურთიერთობები

საკანონმდებლო საქმიანობა

გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი

ISO 9001:2008

ადმინისტრაციული უზრუნველყოფა



**სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო** - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

სააგენტოს მიზანია უზრუნველყოს საზღვაო უსაფრთხოება და საზღვაო ტრანსპორტის ფუნქციონირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოწესრიგება, ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, საზღვაო ტრანსპორტის ტექნიკური რეგულირება და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა, საზღვაო გადაზიდვა-გადაყვანების შეუფერხებელი და უსაფრთხო განხორციელების მიზნით.

სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

- დროშის სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის საქართველოს დროშით მცურავი გემის ინსპექტირება;
- საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოება, გემის რეგისტრაციის პირობების, აგრეთვე გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დადგენა;
- ზღვასნობის უსაფრთხოების, გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებისა და შრომის დაცვის მიზნით ეკიპაჟის უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების განსაზღვრა;
- საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და/ან საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების გაცემა, მათში ცვლილებების შეტანა ან გაუქმება „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;
- საზღვაო სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელობა, ზღვაზე საძიებო-სამაშველო ოპერაციების განხორციელების, ავარიის შედეგად დაღვრილი ნავთობითა და მავნე ნივთიერებებით ზღვის დაბინძურების ლიკვიდაციის მიზნით.
- საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის უსაფრთხოების მიზნით მოძრაობის დაყოფის სისტემების, საზღვაო დერეფნების, ფარვატერებისა და რეკომენდირებული გზების, ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების შემუშავება, კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად, უფლებამოსილების ფარგლებში;

*წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს საქმიანობის 2015 წლის შემაჯამებელ დოკუმენტს და შედგენილია სააგენტოს ანალიტიკური სამსახურის მიერ სტრუქტურული ერთეულებიდან მოწოდებული ყოველთვიური ანგარიშების საფუძველზე.*


## მეზღვაურთა განათლება და სერტიფიცირება

მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების ერთიანი სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტი, რომელიც თავის მხრივ, მოიცავს ორ სამმართველოს:


- ❖ მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველო ახორციელებს საქართველოში არსებული საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი ცენტრების აღიარებას, შეიმუშავებს ამ დაწესებულებების შემოწმების გეგმას, უწევს მონიტორინგს საზღვაო სასწავლებლებში მიმდინარე საკვალიფიკაციო გამოცდებს და უზრუნველყოფს მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ საერთაშორისო მოთხოვნების შესრულების კონტროლს.
- ❖ მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველო უზრუნველყოფს მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სერტიფიკატების მომზადებას და გემზე პასუხისმგებლობის ყველა დონის მეზღვაურისთვის სერტიფიკატების გაცემას და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავებას, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის გემის სამეთაურო და რიგითი შემადგენლობის პირის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას, კანდიდატის ცოდნის შემოწმების მიზნით საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება-ორგანიზებას და სხვა.

## მეზღვაურთა სერტიფიცირება

დიაგრამა N1-ზე წარმოდგენილია მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველოს მიერ გაცემული მოწმობების რაოდენობა.




დიაგრამა N2 - 2014-2015 წლებში გაცემული მეზღვაურთა მოწმობების სტატისტიკა



2013 წლის იანვრიდან სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა“ და სსიპ „სერვისების განვითარების სააგენტოს“ შორის თანამშრომლობის საფუძველზე შემუშავდა პროგრამა, რომლის საშუალებითაც იბეჭდება მეზღვაურთა დოკუმენტაცია დამცავი ნიშნებით, რამაც ფაქტიურად აღმოფხვრა დოკუმენტების გაყალბების პრეცედენტები. სწორედ ამ წარმატებული რეფორმის შედეგია, რომ სისტემის დანერგვის შემდგომი პერიოდიდან დღემდე არცერთი გაყალბების პრეცედენტი არ დაფიქსირებულა, ხოლო ის მცირე რაოდენობა ყალბი სერტიფიკატებისა, რომლებიც აღმოჩენილ იქნა, მიემართება რეფორმამდელ პერიოდს და მათი იდენტიფიცირებისათვის სააგენტოში შექმნილია ეფექტური მექანიზმები.

დიაგრამა N3 - ყალბი დოკუმენტების სტატისტიკა 2009-2015წწ.



## საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელი დაწესებულებების მონიტორინგი

საანგარიშო პერიოდში (2015 წელი) საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ აღიარებულ საზღვაო-სასწავლო და საზღვაო-საწვრთნელ დაწესებულებებზე გაიცა 61 კურსის აღიარება. 2015 წლის განმავლობაში ზემოთხსენებულ სასწავლებლებში ჩატარდა 2850 სასწავლო კურსი (გარდა GMDSS, პერსონალის გადამზადებისა და მეთევზე-მეზღვაურის კურსებისა), და მსმენელების საერთო რაოდენობა შეადგენდა 22998.

2015 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტმა დაანერგა **SMS მომსახურების სისტემა**, რომელმაც უფრო მოქნილი და ეფექტური გახადა მეზღვაურებზე გაწეული მომსახურება. 2015 წლის 26 ოქტომბრიდან მეზღვაურებს sms-ების საშუალებით მისდით ინფორმაცია მათ განაცხადებზე მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსა და სსიპ სერვისების განვითარების სააგენტოს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე შემუშავებულია მეზღვაურთა დოკუმენტბრუნვის სისტემა (**მდს**), რომლითაც ხორციელდება მეზღვაურთა განაცხადების აღრიცხვა-რეგისტრაცია. საანგარიშო პერიოდში (2015 წელი) მოხდა ამ სისტემის მოდიფიკაცია, რის შედეგადაც მეზღვაურთა სერტიფიცირების სამმართველოს მიეცა საშუალება აწარმოოს სტატისტიკური ანალიზები სააგენტოს მიერ გაცემული მოწმობებისა და რეგისტრირებული მეზღვაურების შესახებ.

## საზღვაო უსაფრთხოება

საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტი ახორციელებს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, სუფსა, ყულევი) გემების შესვლა-გასვლაზე ზედამხედველობას, კონტროლს უწევს ნავსადგურების უშიშროებასთან დაკავშირებული საერთაშორისო მოთხოვნების შესრულებას და მონაწილეობს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის წესების შემუშავებაში. ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურები ფუნქციონირებს ბათუმის, ფოთისა და ყულევის ნავსადგურებში. ფოთის ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახური ასევე ფარავს სუფსის ნავსადგურს.

**გემების მოძრაობა საქართველოს ნავსადგურებში:**


2015 წლის განმავლობაში საქართველოს ნავსადგურებში შემოვიდა **1978** გემი, დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი:

*ცხრილი N1*


გემის ტიპი	რაოდენობა
Container	318
Tanker	592
General.Cargo	591
Ro-Ro	187
Passenger	44
Bulk Carrier	91
Livestock	21
Tug Boat	5
Crane	4
LPG	1
Dredger	3
Fish carrier	117
Gas carrier	1
Cruise	3
	<b>1978</b>



დიაგრამა N4-საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების რაოდენობა 2012-2015წწ.




დიაგრამა N5-საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების გროს ტონაჟი (2015 წელი)



## ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლი

2015 წლის განმავლობაში სააგენტოს საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტის ნავსადგურის ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურებმა შეამოწმეს საქართველოს ნავსადგურებში (ბათუმი, ფოთი, ყულევი) შემოსული 560 გემი, შენიშვნები აღმოაჩნდა 202 გემს, ხოლო შენიშვნების რაოდენობა შეადგენს 1939. საანგარიშო პერიოდში მოხდა 16 გემის დაკავება, კერძოდ, ბათუმის ნავსადგურში 10 გემის, ხოლო ფოთის ნავსადგურში - 6 გემის. აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ დიაგრამა N6.

*დიაგრამა N6 - ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობა 2015წ.*



საქართველოს ნავსადგურებში 2015 წლის განმავლობაში შემოსული ტვირთების სტატისტიკა:

2015 BATUMI	შემოსული გემების რაოდენობა	გროს ტონაჟი	ნავთობი	გუნ. ტვირთი	კონტეინერი	ნაყარი ტვირთი	უამინდობის გამო ნავსადგურის დახურვის დრო
იანვარი	86	414516	369969	36065	24041	74601	176:50:00
თებერვალი	62	310754	213648	6496	24381	45486	0:00:00
მარტი	57	679289	535351	31954	20420	47619	48:45:00
აპრილი	44	423882	258343	9316	24944	39178	97:15:00
მაისი	61	652441	256592	43785	35336	42866	0:00:00
ივნისი	53	586654	318297	43785	42591	69499	45:05:00
ივლისი	55	680420	300568	23006	28743	76175	0:00:00
აგვისტო	60	329034	347519	19418	27856	35066	0:00:00
სექტემბერი	59	254761	96883	12784	23234	35066	0:00:00
ოქტომბერი	57	237142	369516	45396	24655	42849	50:20:00
ნოემბერი	54	641091	229248	22471	23824	77246	163:00:00
დეკემბერი	64	770211	334400	12199	93015	5115	85:30:00
	<b>712</b>	<b>5980195</b>	<b>3630334</b>	<b>306675</b>	<b>393040</b>	<b>590766</b>	<b>581:15:00</b>

ცხრილი N3

2015 POTI	შემოსული გემების რაოდენობა	გროს ტონაჟი	ნავთობი	გუნ. ტვირთი	კონტეინერი	ნაყარი ტვირთი	უამინდობის გამო ნავსადგურის დახურვის დრო
იანვარი	110	1007822	49548	135302	340140	135508	312:50:00
თებერვალი	85	731382	27577	133096	332913	82100	214:50:00
მარტი	99	747079	32354	81758	387209	164866	168:20:00
აპრილი	78	421005	45753	75180	260597	160980	449:05:00
მაისი	82	388467	61753	113045	247374	80800	106:75:00
ივნისი	90	521169	53597	106725	237361	207891	109:30:00
ივლისი	75	184318	42569	94095	229305	207891	41:25:00
აგვისტო	84	409003	25286	90580	232897	192951	92:50:00
სექტემბერი	96	507369	72176	80766	252564	192850	36:15:00
ოქტომბერი	89	583332	28782	91133	261548	117538	207:40:00
ნოემბერი	84	626946	37808	98006	191190	179093	282:35:00
დეკემბერი	82	584757	32748	85545	323965	124895	261:55:00
	1054	6712649	509951	1185231	3297063	1847363	1915:20:00

ცხრილი N4

2015 KULEVI	შემოსული გემების რაოდენობა	გროს ტონაჟი	ნავთობი	გენ. ტვირთი	კონტეინერი	ნაყარი ტვირთი	უამინდობის გამო ნავსადგურის დახურვის დრო
იანვარი	20	240291	287778.385	არა	არა	არა	7008:00:00
თებერვალი	15	218678	249150.361	არა	არა	არა	193:15:00
მარტი	20	177203	199710.848	არა	არა	არა	188:44:00
აპრილი	20	238208	308827.867	არა	არა	არა	6144:00:00
მაისი	13	222124	251200.503	არა	არა	არა	1800:00:00
ივნისი	14	119234	147594.82	არა	არა	არა	2520:00:00
ივლისი	20	167607	209361.878	არა	არა	არა	20:30:00
აგვისტო	19	191781	202828.428	არა	არა	არა	2136:00:00
სექტემბერი	15	150457	126127.12	არა	არა	არა	840:00:00
ოქტომბერი	17	152209	150142.859	არა	არა	არა	5952:00:00
ნოემბერი	24	198594	217712.794	არა	არა	არა	247:00:00
დეკემბერი	15	198831	213935.144	არა	არა	არა	261:55:00
	212	2275217	2564371.007	0	0	0	27049:29:00

## საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრი (სსსც)

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სსსც ახორციელებს კონტროლს გემების ნაოსნობაზე საქართველოს პასუხისმგებლობის SAR (ძებნისა და გადარჩენის) რაიონში, უწევს კოორდინაციასა და ორგანიზებას ძებნა-გადარჩენის ოპერაციებს უბედურების შეტყობინების მიღების შემთხვევაში და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციას მის განკარგულებაში არსებული სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობით, საჭიროების შემთხვევაში კი გარეშე რესურსების მოზიდვით. ახორციელებს 24 საათიან მორიგეობას რადიო ეთერში GMDSS სისტემის A1 და A2 საზღვაო რაიონებში სპეციალური რადიოკავშირის საშუალებებით. ატარებს და მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო ძებნა-გადარჩენის ოპერაციების და ავარიულად დაღვრილი ნავთობის ლიკვიდაციის წვრთნებში.

2015 წლის განმავლობაში დაფიქსირებული მონაცემები:

1. სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონში კონტროლზე აყვანილი გემები (შემომსვლელი, გამსვლელი, ტრანზიტული) – 3838.
2. საზღვაო ინციდენტები სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონში - 27.
3. საზღვაო ინციდენტები სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონის გარეთ - 3.
4. სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონში და ნავსადგურებში DSC, INMARSAT და COSPAS-SARSAT სისტემებით მცდარი განგაშის სიგნალის აქტივაცია

ცხრილი N5

სისტემა	საქართველოს დროშით მცურავი გემები	სხვა სახელმწიფოს დროშით მცურავი გემები
VHF	1 საზღვაო	-
MF	-	-
HF	-	-
INM C	-	-
INM B	-	-
INM E	-	-

121.5 MHz	-	-
243 MHz	-	-
406 MHz	-	18 საზღვაო; 6 საავიაციო
სულ:	საზღვაო-1	საზღვაო-18; საავიაციო-6

5. სსსც-ს პასუხისმგებლობის SAR რაიონის გარეთ DSC, INMARSAT და COSPAS-SARSAT სისტემებით მცდარი განგაშის სიგნალის აქტივაცია

ცხრილი N6

სისტემა	საქართველოს დროშით მცურავი გემები	სხვა სახელმწიფოს დროშით მცურავი გემები
VHF	-	-
MF	-	-
HF	-	1 საზღვაო
INM C	-	1 საზღვაო
INM B	-	-
INM E	-	-
121.5 MHz	-	-
243 MHz	-	-
406 MHz	5 საავიაციო; 20 საზღვაო, 1 პერსონალური	11 საზღვაო, 4 საავიაციო
სულ:	საზღვაო - 20; საავიაციო - 5.	საზღვაო-13, საავიაციო - 4

6. გემის უსაფრთხოების განგაშის სისტემის (SSAS) შეტყობინების აქტივაცია - 0.

7. გემის უსაფრთხოების განგაშის სისტემის (SSAS) ტესტური შეტყობინება - 2.

8. აფხაზეთის დახურულ საზღვაო სივრცეში გემების არასანქცირებული ნაოსნობის სტატისტიკა - 2015 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 14 მცურავი საშუალება.

9. CleanSeaNet სისტემიდან მიღებული სავარაუდო ნავთობის დაღვრის განგაშის შეტყობინებების სტატისტიკა - 2015 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 14 სავარაუდო ნავთობის დაღვრის განგაში, რომელთაგან არც ერთი დადასტურდა.

საანგარიშო პერიოდში საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის მიერ ჩატარებული აქტივობები:

- ❖ პერიოდულად ტარდებოდა ძებნა-გადარჩენის საკომუნიკაციო წვრთნები სამგზავრო გემებთან;
- ❖ მუდმივად ტარდებოდა ნავთობის ავარიულ დაღვრაზე რეაგირებისათვის მზადყოფნის წვრთნები განგაშის გამოცხადებისას ბათუმის ნავსადგურში;
- ❖ სსსც-მა მონაწილეობა მიიღო ქ.სტამბოლში გამართულ შავი ზღვის მუდმივმოქმედი კომისიის გარემოს უსაფრთხოების ასპექტების მრჩეველთა რიგით 24-ე შეხვედრაში (BLACK SEA ALFA);
- ❖ სსსც-მა მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო საკომუნიკაციო წვრთნებში (BLACK SEA BRAVO);
- ❖ საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრმა ორჯერ მიიღო მონაწილეობა ქ. თბილისში და სუფსაში საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის ეგიდით ჩატარებულ სემინარებში;
- ❖ სსსც-მა მონაწილეობა მიიღო ქ. სტამბოლში შავი ზღვის ქვეყნების რიგით მე-12 ძებნა-გადარჩენის კონფერენციაში;
- ❖ სსსც-მა სამჯერ მიიღო მონაწილეობა ქ. ლისაბონში ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სააგენტოში ჩატარებულ სემინარებში ტრასეკა საზღვაო უსაფრთხოება და უშიშროება II პროექტით ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში;
- ❖ სსსც-მა მონაწილეობა მიიღო ქ. ლონდონში საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნავიგაციის, კომუნიკაციის და ძებნა-გადარჩენის ქვეკომიტეტის რიგით მე-2 სხდომაზე;
- ❖ სსსც-მა მონაწილეობა მიიღო ქ.ამსტერდამში გამართულ საერთაშორისო გამოფენა-კონფერენციაში - Inters spill 2015.



## საერთაშორისო ურთიერთობები

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო წარმოადგენს საქართველოს საზღვაო სფეროს ეროვნულ-ტექნიკურ მარეგულირებელ ორგანოს, რომლის უმთავრესი ამოცანაა, საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის იმიჯის და ცნობადობის ამაღლება საერთაშორისო დონეზე. აქედან გამომდინარე, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან მაგ: საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციასთან (IMO) - სააგენტოს თანამშრომლები სისტემატურად ესწრებიან სხვადასხვა კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების სხდომებს. სააგენტო, საქართველოს სახელით აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებში.

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) წევრი ქვეყნების 1 კვირიანი აუდიტი 2015 წლის 1-9 თებერვალს გაიარა. წევრი სახელმწიფოების მიერ, როგორც დროშის, ნავსადგურის და სანაპირო სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების შესამოწმებლად, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია საქართველოში აუდიტის ჩასატარებლად პირველად ჩამოვიდა. აღნიშნული აუდიტი მოიცავდა საზღვაო სფეროს ყველა სტრუქტურის შემოწმებას იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა IMO-ს წევრი სახელმწიფო მის მიერვე რატიფიცირებული კონვენციების მოთხოვნებს. სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, საქართველოს მთავრობისგან დაეკისრა აღნიშნული აუდიტის კოორდინირება, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აუდიტი უტარდებოდა არა მხოლოდ სააგენტოს, არამედ მთლიანად სახელმწიფოს, საზღვაო კუთხით აღებული ვალდებულებების შესრულების შესაფასებლად. IMO-ს აუდიტორთა 4 კაციანი ჯგუფი კმაყოფილია საქართველოს საზღვაო სფეროში მიმდინარე რეფორმებით, მიღწეული შედეგებით და თითოეული სტრუქტურის მუშაობით. საქართველომ აუდიტი წარმატებით გაიარა.

2014 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ ევროკავშირიდან მიიღო დაფინანსება **MLC 2006 (საზღვაო შრომის კონვენცია)** პროექტის განხორციელებისათვის ტრასეკას ფარგლებში. 2015 წლის მარტში ბათუმში გაიმართა საზღვაო შრომის კონვენციის (MLC 2006) იმპლემენტაციასთან დაკავშირებით სამმხრივი კომიტეტის შეხვედრა საქართველოს ხელისუფლებას, გემთმფლობელებსა და მეზღვაურთა პროფესიულ გაერთიანებას შორის. პროექტის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდა TRACECA II-ის ხელმძღვანელი ალბერტო ბერგონზო და პროექტის მთავარი ექსპერტი დესმონდ

ჰოუელი. კონვენციის რატიფიცირებით საქართველოს საზღვაო კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვა საერთაშორისო მოთხოვნებთან.

2015 წლის თებერვალში საქართველომ ხელი მოაწერა CleanSeaNet სისტემასთან მიერთებას. აღნიშნული სისტემის მიზანია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ინფორმაციული მომსახურება წევრი სახელმწიფოების წყლებში განხორციელებული ნავთობის დაღვრის თაობაზე და სატელიტური ფოტოების რეალურ დროში მოწოდება. საქართველოს სრული ინტეგრაცია ხსენებულ სისტემაში გააუმჯობესებს საქართველოში ზღვის გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლის მექანიზმებს და დაეხმარება კომპეტენტურ ორგანოებს ეფექტური აღსრულების მექანიზმების ჩამოყალიბებაში.

2015 წლის 21-23 აპრილს, ბათუმში, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ უმასპინძლა შავი ზღვის ურთიერთგაგების მემორანდუმის (Black Sea MoU) ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის (PSCC16) რიგით მე-16 შეხვედრას. აღნიშნული შეხვედრა ყოველწლიურად იმართება შავი ზღვის აუზის 6 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის. შეხვედრაზე განხილულ იქნა ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის გაუმჯობესებისათვის გასატარებელი ღონისძიებები შავი ზღვის რეგიონში.

2015 წლის 3-8 მაისს, საქართველოს საქმიანი ვიზიტით ეწვია TRACECA-ს მთავრობათაშორისი კომისიის მუდმივმოქმედი სამდივნოს გენერალური მდივანი მირჩეა ჩიოპრაგა. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს, როგორც საზღვაო სატრანსპორტო დერეფნის ეფექტურობის შეფასება, მისი მნიშვნელობის და პოტენციალის განვითარების საკითხის განხილვა და სამომავლო პერსპექტივების დასახვა ამ მიმართულებით ინვესტიორების მოზიდვის კუთხით.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო აქტიურად არის ჩართული ევროკომისიის პროექტში TRACECA II (საზღვაო უსაფრთხოება და უშიშროება), რომელიც დაიწყო 2013 წლის 15 იანვარს და დასრულდება 2016 წლის ივნისში. პროექტის ძირითადი მიზანია შავი და კასპიის ზღვის აუზის ქვეყნების მხარდაჭერა, რათა მოახდინონ საერთაშორისო საზღვაო უსაფრთხოებისა და უშიშროების კონვენციების რატიფიცირება და იმპლემენტაცია. პროექტი ხელს შეუწყობს უსაფრთხო საზღვაო გადაზიდვებს და ეკოლოგიური საფრთხეების მართვის მექანიზმის შექმნას.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (IMO) ზღვაში გამოჩენილი განსაკუთრებული სიმამაცისთვის ყოველწლიურად აჯილდოებს სხვადასხვა ადამიანებს. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, აღნიშნული ჯილდოს მისაღებად, 2014 წლის 28

დეკემბერს, ადრიატიკის ზღვაში, ბორან “Norman Atlantic” - ის ჩაძირვის შედეგად, ტრაგიკულად დაღუპული არქიმანდრიტი ილია კარტოზიას კანდიდატურა წარადგინა. აღნიშნული კანდიდატურა განიხილეს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის რიგით 114-ე სესიაზე და **მამა ილია კარტოზია დააჯილდოვეს ზღვაში გამოჩენილი განსაკუთრებული სიმამაცის ჯილდოთი**. მსგავსი ჯილდო აქამდე საქართველოს არცერთ მოქალაქეს არ მიუღია.

2015 წლის სექტემბერში, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციამ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს - **კაპიტან მამუკა ახალაძეს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ელჩის სტატუსი მიანიჭა**. საპატიო ელჩის სტატუსი მიზნად ისახავს ქვეყანაში საზღვაო დარგის პოპულარიზაციას. აღნიშნული ფაქტი ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყნის წარმოჩენას საერთაშორისო დონეზე, მის პოპულარიზაციას მსოფლიო მასშტაბით და უკვე გაწეული და მომავალში დაგეგმილი რეფორმებისადმი საერთაშორისო საზღვაო საზოგადოების ნდობის ამაღლებას.

სააგენტო აქტიურად ჩაერთო IMO-UNDP-GEF ერთობლივ პროექტში **GloMEEP**. პროექტში მონაწილეობა საქართველოს MARPOL Annex VI-ის კუთხით ცვლილებებისა და ეტაპების გადალახვაში შეუწყობს ხელს, იგი მოიცავს საკანონმდებლო, სანავსადგურე, ტექნიკური თუ სხვა სახის ნიადაგის შემზადებას, რითაც გაუმარტივდება ქვეყანას MARPOL Annex VI-ის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

2015 წლის 15-16 ოქტომბერს, საქართველოს ეწვია **კორეის რესპუბლიკის ოკეანისა და თევზჭერის სამინისტროს დელეგაცია**. შეხვედრის ფარგლებში, ქართულმა მხარემ კორეულ მხარეს ინფორმაცია მიაწოდა საზღვაო დარგში არსებული მიღწევების შესახებ, მათ შორის მეზღვაურთა განათლების, გემების რეგისტრაციისა და ნავსადგურის უსაფრთხოების კუთხით.

2015 წლის 4-6 ნოემბერს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სტუმრობდა **ყაზახეთის საზღვაო ადმინისტრაციის დელეგაცია**. ვიზიტი მიზნად ისახავდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოში მიმდინარე პროცესების გაცნობას და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ სააგენტოში ჩატარებული აუდიტის შესახებ გამოცდილების გაზიარებას. ხსენებული აუდიტი სააგენტომ, საქართველოს სახელით წარმატებით გაიარა, ხოლო ყაზახეთს აუდიტის გავლა 2017 წელს უწევს.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივად უწევს დახმარებას მეზღვაურებს, რომლებსაც ნაოსნობაში ყოფნისას შეექმნათ პრობლემები. ინფორმაციის მიღებისთანავე, სააგენტო უკავშირდება საგარეო საქმეთა სამინისტროს, შესაბამის საკონსულოებსა თუ საელჩოებს, დამსაქმებელ კომპანიებს, გემთმფლობელ კომპანიებს და სხვა ორგანოებს, რათა უმოკლეს ვადებში მოხდეს პრობლემის გარკვევა და შესაბამის დახმარების გაწევა. 2015 წლის განმავლობაში სააგენტომ 20-ზე მეტ განსაცდელში მყოფ მეზღვაურს გაუწია დახმარება.

2015 წელს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მხარდაჭერით, **მსოფლიო საზღვაო უნივერსიტეტში** მოხდა კანდიდატურის წარდგენა და სრული სამაგისტრო კურსის დაფინანსება.

2015 წლის განმავლობაში მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების აღიარების შესახებ ურთიერთაღიარების მემორანდუმები გაფორმდა შემდეგ ქვეყნებთან:

- ❖ საფრანგეთის რესპუბლიკა;
- ❖ ბულგარეთის რესპუბლიკა;
- ❖ პორტუგალია
- ❖ თურქეთის რესპუბლიკა;
- ❖ კორეის რესპუბლიკა;
- ❖ მენის კუნძული.

## საკანონმდებლო საქმიანობა

- ❖ 2015 წლის 11 თებერვალს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს მთავრობის №41 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი „საქართველოს დროშით მცურავ გემებზე ეკიპაჟის უსაფრთხო რაოდენობით დაკომპლექტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 9 დეკემბრის №326 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;
- ❖ 2015 წლის 06 მარტს, საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, საფასურის განაკვეთების, ასევე საფასურის გადახდისა და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 15 აპრილის №1-1/592 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- ❖ 2015 წლის 01 ივნისს, საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის №02 ბრძანება „მეზღვაურის წიგნაკის ფორმის, მისი დამზადების, გაცემისა და გამოყენების წესის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის 2012 წლის 16 იანვრის №001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- ❖ 2015 წლის 04 ივნისს, საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა სსიპ „საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ დირექტორის №03 ბრძანება „საკრუინგო საქმიანობის განმახორციელებელ პირთა აღიარების, აღიარების სერტიფიკატის გაცემის, გაცემის პირობების მონიტორინგის და ზედამხედველობის, აღიარების სერტიფიკატის შეჩერების/შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 31 დეკემბრის №31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- ❖ 2015 წლის 08 ოქტომბერს, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა სააგენტოს დირექტორის №04 ბრძანება „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და მეზღვაურის სამედიცინო მოწმობის გაცემაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებისა და უფლებამოსილი ექიმის შერჩევის და პერიოდული მონიტორინგის წესისა და

პირობების“ დამტკიცების შესახებ“ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 25 დეკემბრის №06 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

- ❖ 2015 წლის 08 ოქტომბერს, საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა სააგენტოს დირექტორის №05 ბრძანება „ მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ❖ 2015 წლის 23 დეკემბერს, საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს კანონი „საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- ❖ 2015 წლის 23 დეკემბერს, საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს კანონი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ ცვლილების შეტანის შესახებ“;
- ❖ 2015 წლის 23 დეკემბერს, საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საქართველოს კანონი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- ❖ 2015 წლის 28 დეკემბერს, საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 17 მარტის №06 ბრძანება „არაკონვენციური მცურავი საშუალების რადიოაღჭურვილობისა და გემებზე სამაშველო აღჭურვილობების მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 17 მარტის №01 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- ❖ 2015 წლის 23 დეკემბერს, საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა და ძალაში შევიდა საქართველოს საზღვაო კოდექსში განხორციელებული ცვლილებები. 2016 წლის 1 აპრილიდან კი ძალაში შედის გემების მოძრაობის სისტემასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნა, რომლის მეშვეობითაც სააგენტოს სტრუქტურული ერთეული განახორციელებს საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ყველა ნავსადგურში გემების მოძრაობის მონიტორინგს;
- ❖ 2015 წლის დეკემბერში, ასევე საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნდა და 2017-2018 წწ. სასწავლო წლის დასაწყისისათვის ძალაში შევა უმაღლესი საზღვაო განათლების რეგულირების შესახებ საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ შესული ცვლილებები. ევროკომისიის დასკვნის შესაბამისად, საქართველომ საჭიროა განავითაროს ეროვნული ჩარჩო-

კვალიფიკაცია უმაღლესი საზღვაო განათლების სფეროში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენდა ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მიერ გაცემული მეზღვაურის კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების ხელახალი აღიარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას.

## **გემების რეგისტრაცია და დროშის კონტროლი**

გემების რეგისტრაციასა და დროშის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ფუნქციებია:

- ❖ დროშის სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის საქართველოს დროშით მცურავი გემების ინსპექტირება;
- ❖ საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოება;
- ❖ გემის რეგისტრაციის პირობების, აგრეთვე გემების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესების დადგენა;
- ❖ გემის რეგისტრაციის მოწმობის, ეკიპაჟის უსაფრთხო დაკომპლექტების და რადიოსადგურის მოწმობის გაცემა;
- ❖ საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი გემებისათვის მინიჭებული სახმობი და ამოსაცნობი ნიშნის მონიტორინგი.

### **ქართული დროშის პოპულარიზაცია**


სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, ახალი გემების მოზიდვა და გემების საშუალო ასაკის შემცირება. 1998 წლიდან, მას შემდეგ რაც საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრი გამოცხადდა ღია რეესტრად, საქართველო პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმის შავ სიაში ირიცხებოდა. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ გაატარა რიგი პროაქტიული ღონისძიებებისა. კერძოდ, გამკაცრდა სააგენტოს მიერ იმ ორგანიზაციების აღიარების მოთხოვნები, რომლებიც ახორციელებენ მცურავი საშუალების ტექნიკურ ზედამხედველობას. საქართველოს საზღვაო კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდა ევროპულ სტანდარტებთან, გაუმჯობესდა საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრის მომსახურების პირობები, შემცირდა ტარიფები. ამ

წარმატებული რეფორმების წყალობით, პირველად არსებობის ისტორიის მანძილზე, საქართველოს სახელმწიფო საზღვაო დროშამ 2014 წლის 1 ივლისს გადაინაცვლა პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმის ნაცრისფერ სიაში. რაც შეეხება საანგარიშო პერიოდს, 2015 წლის 01 ივლისის მდგომარეობით, პარიზის ურთიერთგაგების მემორანდუმის დროშის წარმადობის მაჩვენებლით ქართული დროშა არცერთ სიაში არ ირიცხება.

### მცურავი საშუალებების რეგისტრაცია


გემების რეგისტრაციის სამმართველო აწარმოებს როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული, საქართველოს დროშით მცურავი საშუალებების რეგისტრაციას საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში. 2015 წლის განმავლობაში საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული მცურავი საშუალებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე:

დიაგრამა N7 - 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებები






დიაგრამა N 8 - 100 რეგ. ტონაზე ნაკლები შიდა ნაოსნობის მცურავი საშუალებები 2014-2015წწ.




როგორც დიაგრამიდან ჩანს, წლიდან წლამდე შეინიშნება შიდა ნაოსნობაში ჩართული მცურავი საშუალებების რიცხვის მატება. თუ 2014 წელს საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული იყო 611 ერთეული 100 რეგ.ტონაზე ნაკლები მცურავი საშუალება, 2015 წელს, ეს ციფრი გაიზარდა და მიაღწია 867.

დიაგრამა N9 - 100 რეგ. ტონაზე მეტი მცურავი საშუალებები



დიაგრამა N10 - 100 რეგ. ტონაზე მეტი მცურავი საშუალებები 2014-2015 წწ.



**მცურავი საშუალებების რეგისტრაციის შედეგად გაცემული სერტიფიკატების/მოწმობების სტატისტიკა**

საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში მცურავი საშუალების სარეგისტრაციო მომსახურების გაწევის დროს გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი. 2015 წლის განმავლობაში გაცემული სერტიფიკატების სტატისტიკა მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში:

ცხრილი N7

გემის ტიპი	პირველადი/დროებითი რეგისტრაცია	ყოველწლიური განახლება	ამოღებულია რეესტრიდან	დროებითი მოხსნა	მუდმივი რეგისტრაცია	დროებითი რეგისტრაციის გაგრძელება
100 რეგ.ტონაზე მეტი ტევადობის გემი	27	24	22	6	8	5
100 რეგ.ტონაზე ნაკლები ტევადობის გემი	176	347	1	174	0	1
<b>სულ</b>	<b>203</b>	<b>371</b>	<b>23</b>	<b>180</b>	<b>8</b>	<b>6</b>

<i>სერტიფიკატების დასახელება</i>	<i>გემის ტიპი</i>	
	<i>100 რეგ. ტონაზე მეტი ტევადობის გემი</i>	<i>100 რეგ. ტონაზე ნაკლები ტევადობის გემი</i>
გემის სარეგისტრაციო მოწმობის ამონაწერი	1	-
საერთაშორისო უსაფრთხოების სერტიფიკატი	3	-
გემის უწყვეტი ისტორიის მოწმობა	4	0
გემის სარეგისტრაციო მოწმობა	-35	526
ცნობა იპოთეკაზე	8	-
გემზე გამონაკლისის დაშვება	-	-
გემის ინსპექტირება	29	0
სახომალდო რადიოსადგურის მოწმობა	52	80
ეკიპაჟის უსაფრთხო შემადგენლობის მოწმობა	44	0
დუბლიკატი	56	-
დამოწმება	64	0

გემების რეგისტრაციისა და დროშის კონტროლის მიმართ 2015 წელს გამოცემული ცირკულარები:

1/CIRC/FSI – Guidelines for the interpretation of terms „to the satisfaction of the Administration“;

2/CIRC/FSI – Guidance, application for Exemption Certificate and Extension/Equivalence letter;

3/CIRC/FSI – Stability and Trim Information to be Supplied to the Master;

4/CIRC/FSI – Shipboard Equipment and Service Provider Approval;

5/CIRC/FSI – Implementation of IMO Mandatory Instruments and National Regulations;

6/CIRC/FSI – Civil Liability Certificates (CLC) for Oil Pollution Damage;

7/CIRC/FSI – Bunker CLCs for Ships Flying Georgian Flag;

8/CIRC/FSI – Guidance on Statutory Certificates;

9/CIRC/FSI – FSI TARGETS FOR 2015-2016;

10/CIRC/FSI – Delegation of Authority;

11/CIRC/FSI – Amendments to International Safety Management (ISM) CODE;

12/CIRC/FSI – Acceptance of Ballast Water Management System approved by other contracting parties;

13/CIRC/FSI – Development and Approval of BWMP on Board of Georgian Flagged Vessels;

14/CIRC/FSI - Discharge of oil or oily mixtures from the vessels less than 400 Gross tonnages flying Georgian flag;

15/CIRC/FSI – Conditions of entry for vessels arriving at United States Ports from certain countries;

16/CIRC/FSI – Vessel deleted from the State Ships Registry of Georgia;

17/CIRC/FSI – Guidance for reception facility providers and users;

28/CIRC/FSI – Approval for Untreated Sewage Discharge Rates.

## ISO 9001:2008

სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ წარმატებით გაიარა გერმანული სასერტიფიკაციო ორგანიზაციის - TÜV SÜD სასერტიფიკაციო აუდიტი და 2015 წლის 10 ივლისს მიენიჭა ხარისხის მართვის ISO 9001:2008 ახალი სერტიფიკატი (ხარისხის მართვის სერტიფიკატი გაიცემა 3 წლის ვადით, სააგენტოს 2012 წელს მიღებული ჰქონდა ზემოთხსენებული სერტიფიკატი, შესაბამისად, 2015 წელს, სერტიფიკატის ვადის გასვლასთან დაკავშირებით, კვლავ იქნა მოწვეული სასერტიფიკაციო ორგანიზაცია). მენეჯმენტის სისტემის სერტიფიცირება გაზრდის ჩვენი სააგენტოს იმიჯს და მუშაობის ხარისხს საერთაშორისო დონეზე და ხელს შეუწყობს შიდა ბიზნეს პროცესების მართვაზე კონტროლის ამაღლებას. სააგენტოში დანერგილი ხარისხის მართვის სისტემა შეესაბამება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის კონვენციების მოთხოვნებს და ევროკავშირის სავალდებულო დირექტივებს, რაც განაპირობებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებების მაღალ დონეს.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სამუშაო პროცესების ხარისხის მართვის სისტემის სტანდარტებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც სისტემატურად ატარებს სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებთან, სააგენტოს მიერ აღიარებულ საკრუინგო კომპანიებთან და სამედიცინო დაწესებულებებთან აუდიტებს, რომლის მთავარი მიზანი ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი და შემოწმებაა. ზემოთხსენებულთან დაკავშირებით, 2015 წელს, სამსახურმა ჩაატარა 44 (შიდა და გარე) აუდიტი, რომელიც ასევე მოიცავს მეზღვაურთა განათლების სისტემაზე ზედამხედველობის სამმართველოსთან ერთად, საქართველოში არსებულ საზღვაო სასწავლებლებში ჩატარებულ 8 გარე ( ოთხ საზღვაო სასწავლებელში წლის განმავლობაში ორ-ორი აუდიტი) აუდიტს.

## ადმინისტრაციული უზრუნველყოფა

2015 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, სააგენტოში დასაქმებულია 106 ადამიანი, რაც შეეხება მაჩვენებლებს გენდერულ ჭრილში, შეიძლება ითქვას, ბალანსი დაცულია, სააგენტოში დასაქმებულია მდედრობითი სქესის - 42, და მამრობითი სქესის - 64 ადამიანი (მამაკაცი თანამშრომლების სიმრავლე ამ შემთხვევაში განპირობებულია სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკით, იგულისხმება საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო ცენტრის და ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც აუცილებლად არიან მამრობითი სქესის). სამსახურის ეფექტური ფუნქციონირებისათვის, მნიშვნელოვანია კვალიფიცირებული და კომპეტენტური თანამშრომლები, ამიტომაც, სააგენტო მუდმივად ახორციელებს მუშახელის დატრენინგებას. 2015 წლის ტრენინგ გეგმის შესაბამისად, სააგენტოს თანამშრომლების 55,56% გაიარა სპეციალური სწავლებები.

2015 წლის 5 დეკემბერს სააგენტომ დაიწყო ახალი, ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა, რომელიც სააგენტოს საშუალებას მისცემს ბევრად ეფექტური, მოქნილი მომსახურება შესთავაზოს მეზღვაურებს, გემთმფლობელებს და საზღვაო დარგის სხვა წარმომადგენლებს. ახალ შენობაში იგეგმება საზღვაო სამაშველო საკოორდინაციო მართვის ცენტრის ჩამოყალიბება თანამედროვე რადიოტექნიკური აღჭურვილობებით, რაც სააგენტოს სამომავლოდ საშუალებას მისცემს ჩაერთოს ევროკავშირის ერთიან სისტემაში (SafeSeaNet).



საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია. საანგარიშო პერიოდში, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ, გასცა 39 წერილი, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის პასუხად.

საქართველო, ბათუმი 6000, ე. ნინოშვილის ქ. No23

ტელეფონი: +995 (422) 273912

ფაქსი: +995 (422) 273929

ელ-ფოსტა: [info@mta.gov.ge](mailto:info@mta.gov.ge)

ელექტრონული ვერსია იხილეთ ვებგვერდზე: [www.mta.gov.ge](http://www.mta.gov.ge)